საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 8 20 02927560

17/12/2020

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 16 დეკემბრის N 60-01203512101 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, სადგურ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.14.004.296) საწარმოს შენობის (პოლიეთილენის გადამამუშავებელი საწარმო) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 26 ნოემბრის MIA 12002757436 და 2020 წლის 9 დეკემბრის MIA 22002860559 წერილების საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, **შეესაბამება** ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებისა და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებით გათვალისწინებულ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, რომელთა პროექტები **სამი თვის ვადაში** წარმოდგენილი იქნეს განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

წერილის ნომერი: **18-01203521729**
თარიღი: **17/12/2020**
პინი: **7149**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური''), განიხილა თქვენი 2020 წლის 09 დეკემბრის #60-0120344486 წერილი (AR1781756) და თანდართული დოკუმენტი (გამწვანების პროექტი), რომლითაც მოქალაქე ლევან გაგნიძე ითხოვს **ქ. თბილისში, სადგური ლილო (ს.კ. #01.19.14.004.296)(ფუნქციური ზონა: ს-1),** IV კლასის ქარხნის მშენებლობის მიზნით, შპს ,,ლორდის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული **6 ძირი** და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული **24 ძირი** მწვანე ნარგავი (15 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 9 ძირი ჰიმალაის კედარი), სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **(542,4 კვ.მ).** გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

აქვე, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ განმცხადებელმა საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა დაიტანოს დასარგავი მწვანე ნარგავების პარამეტრები (სიმაღლე, გარშემოწერილობა).

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

ასევე, მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი